

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

შპს „ჰიდრო ენერჯის“,

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“,

სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“,

შპს „ენერგოტრანსსა“

და

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“

შორის

თარიღი: 7 ოქტომბერი, 2016 წ.
თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

- (1) საქართველოს მთავრობა (შემდგომში - „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ;
- (2) შპს „ჰიდრო ენერგია“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 405098353, წარმოდგენილი დირექტორის, დავით ჩაჩიანის მიერ;
- (3) სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში - „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.
- (4) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“, ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა სამჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;
- (5) სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში - „საქრუსენერგო“), ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომელ მიეკუთხამდის მიერ;
- (6) შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში - „ენერგოტრანსი“), ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სებნიაშვილის მიერ;

მხარეები დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნით ელექტროსადგურის მიერ გომომუშავებული ელექტროენერგიის ელექტროგადამცემი ქსელის საშუალებით გადაცემის უზრუნველყოფისათვის კომპანიას, „სსეს“, „საქრუსენერგოსა“და „ენერგოტრანსის“ შორის დადებულ მრავალწლიან ხელშეკრულებას, რომელიც მოქმედებს ელექტროსადგურის ექსპურტაციიში მიღებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში.
 - 1.2. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდარულ დღეებს.
 - 1.3. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.
 - 1.4. „ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკოს“ შორის.
 - 1.5. „ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე „ახალციხე-ბორიშას“ 400 კვ. ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომლებიც საჭიროა ელექტროენერგიის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის და რომელთაც ფლობენ „სსე“, „ენერგოტრანსი“ ან/და „საქრუსენერგო“.

- 1.6. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარებას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრესა და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.
- 1.7. „ზამთრის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.
- 1.8. „ზაფხულის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო.
- 1.9. „მითიღე და გადაიხადე პრინციპი“ ნიშნავს „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულების“ შესაბამისად განსაზღვრულ პრინციპს, რომლის თანახმადაც:
 - ა) იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით, კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ მემორანდუმის მე-13 მუხლში მითითებული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულებით“ დადგენილი პირობებითა და შემთხვევებში აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომელიც დაანგარიშებულ უნდა იქნას „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულებით“ დადგენილი წესის შესაბამისად; და
 - ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს მემორანდუმის მე-13 მუხლში მითითებული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
- 1.10. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას, „სსეს“, „საქრუსენერგოს“, „ენერგოტრანსს“ და „ესკოს“ ერთობლივად.
- 1.11. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებასა და ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
- 1.12. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 სექტემბრის N1842 განკარგულების გამოცემის დღიდან მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელების მიზნით გაწეულ სრულ ხარჯებს (რომელიც უნდა იყოს აუდიტირებული და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ), მათ შორის, პროექტის განხორციელების მიზნით, კომპანიის მიერ აღებული სესხის ათვისებული ნაწილის ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს, აგრეთვე, სესხის გამცემისათვის სესხის შეწყვეტის გამო ასანაზღაურებელი კომპენსაციის ოდენობას, კომპანიის მიერ პროექტის განხორციელების მიზნით დადებული კონტრაქტებისა და შეთანხმებების შეწყვეტის შედეგად კომპანიის ზარალს, ხარჯებსა და ამასთან დაკავშირებულ სავალდებულო გადასახდელებს, პროექტის რეალიზაციის არეალიდან კომპანიის მიერ ტექნიკისა და პერსონალის დემობილიზაციის, აგრეთვე, კომპანიის კუთვნილი ქონების დემონტაჟისა და გატანის ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამასთან დაკავშირებულ სავალდებულო გადასახდელებს, პროექტის განხორციელების მიზნით გაწეულ კაპიტალურ ხარჯებს, მთავრობისათვის გადასაცემი ქონების დამოუკიდებელი და სამართლიანი შეფასების აუდიტის ხარჯებს.
- 1.13. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.
- 1.14. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საზარენო გარანტიას.

- 1.15. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს ხელშეკრულების გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რომლის განმავლობაშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული სამშენებლო ფაზის ვადისა.
- 1.16. „საწყისი ექსპლოატაციის პერიოდი“ ნიშნავს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 წლიან პერიოდს.
- 1.17. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
- 1.18. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამაგრებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.
- 1.19. „ძირითადი მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.
- 1.20. „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს წინასამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი #3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა.
- 1.21. „წინასამშენებლო გარანტია“ ნიშნავს წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
- 1.22. „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.

მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, „მშენებლობა, ფლობა, ოპერირების“ პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

წინასამშენებლო ფაზა

3. კომპანია წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში მემორანდუმის დანართ N1, N2 და N3-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია:
 - 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
 - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში), და წარუდგინოს ის სამინისტროს;
 - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
 - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
 - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს მთავრობისთვის წარსადგენი წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას,

მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- 4.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის შენებლობაზე;
 - 4.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიური გამომუშავების ჩათვლით;
 - 4.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის ნიშნულებს;
 - 4.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
 - 4.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;
 - 4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).
5. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურის შენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას წარუდგენს მთავრობას, მისთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეთავაზების წარდგენამდე.
 6. კომპანიის მიერ მემორანდუმის მე-4 მუხლის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში სამინისტრო და კომპანია ერთობლივად განიხილავენ ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ძირითადი მხარეები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევებში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის წინასამშენებლო გარანტია (გარანტის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
 7. წინასამშენებლო გარანტია.
 - 7.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ მთავრობას წარუდგინა საბანკო გარანტია 75,000.00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს.
 - 7.2. მთავრობა უფლებამოსილია წინასამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - ა) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის 50%-ის ოდენობით;
 - ბ) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 60 (სამოცდი) დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით.

სამშენებლო ფაზი

8. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
 - 8.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;

- 8.2. დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა მშენებლობის წებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
- 8.3. ამშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი შესაბამის ქსელთან მიერთება და ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.4. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
- 8.5. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და სხვა სტანდარტების შესაბამისად;
- 8.6. კომპანია ვალდებულია, სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით, საკუთარი ხარჯებით, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა პროექტის განხორციელების არეალზე;
- 8.7. შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.
9. კომპანია ვალდებულია, ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან, ყოველკვარტალურად წარუდგინოს ანგარიში სამინისტროს, ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისა და შესრულებული ვადამოსული ვალდებულებების შესახებ.
10. სამშენებლო გარანტია
- 10.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის წებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარდგენილი სამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების თარიღს 5 (ხუთი) თვით უნდა აღემატებოდეს. კომპანიის მიერ წარგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. მემორანდუმის ამ პუნქტის შესაბამისად, კომპანიის მიერ სამშენებლო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, კომპანიას მისი წარდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში უნდა დაუტოვნდეს წინასამშენებლო გარანტია მისი დაბრუნებისთვის არსებული ოდენობით.
- 10.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის წებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროს მოთხოვნის მიღებიდან 15

(თხუთმეტი) დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.

- 10.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
- 10.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
- ა) კომპანია მემორანდუმის 10.2 ან/და 10.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
 - ბ) მემორანდუმის 10.2 ან/და 10.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს.

ელექტროენერგიის რეალიზაციის პირობები

11. კომპანია ვალდებულია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიერთების წერტილში ტარიფით 5,8 (ზუთი მთელი რვა მეტადი) აშშ ცენტრი 1 კვტ/სთ, ხოლო „ესკო“ ვალდებულია შეისყიდოს ამგვარად მიწოდებული ელექტროენერგია.
12. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში ან/და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ამოწურვის შემდგომ ნებისმიერ პერიოდში, კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განახორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნით, „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, უზრუნველყონ კომპანია საჭირო დისპეჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით. ამასთან, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით, „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, დამატებით უზრუნველყოს კომპანია გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალგიხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის კუთვნილ ნაწილზე, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში დროის იმ მონაკვეთებისათვის, რომლის განმავლობაშიც „ახალგიხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი ელექტროენერგიის სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ- ჰვესადგური „ახალგიხეს“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასშეებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის. „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ მემორანდუმის ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიასთან მიიღე ან გადაიხადე პრინციპის საფუძველზე გაფორმებული „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

მთარეთა ვალდებულებები

- 14.პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
- 14.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
 - 14.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;
 - 14.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
- 15.პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია:
- 15.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის, შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემისთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 15.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
 - 15.3. ამ მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში (მემორანდუმის შეწყვეტამდე) კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცეს დანართი #1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება სხვა პირს;
 - 15.4. მემორანდუმის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე არ გადასცეს სხვა პირ(ებ)ს დანართი #1-ით გათვალისწინებული იმ ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება, რომლის მშენებლობის თაობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება;

მემორანდუმის შეწყვეტა

- 16.მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვეტოს მემორანდუმი, თუ:
- 16.1. კომპანია ვერ ასრულებს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს.
 - 16.2. კომპანია დაარღვევს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გრაფიკს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯარიმი 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;
 - 16.3. მემორანდუმის 10.2 ან/და 10.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის 50%-ს ან მეტს;
 - 16.4. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ამ მუხლით დადგენილ ვადაში ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას;
 - 16.5. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;

- 16.6. კომპანიის მიერ მოწოდებული ან/და მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით;
- 16.7. ფორს-მაური გრძელდება 240 (ორას ორმოცი) დღეზე მეტი ვადით;
17. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-16 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 17.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
- 17.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
- 17.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
- 17.4. მთავრობა უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მემორანდუმის 17.2 და
- 17.3 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების გარდა, დამატებით მოითხოვოს პროექტის განსახორციელებლად საჭირო, კომპანიის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავ-მოძრავი ქონების უფლებრივად უნაკლო ფორმით საკუთრებაში გადაცემა, რისთვისაც კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და სრულად მიიღოს კომპენსაცია მთავრობისთვის ამ პუნქტის შესაბამისად გადაცემული აქტივების აუდიტირებული და დოკუმენტირებული ფაქტობრივი ხარჯების ჯამური ოდენობით, გარდა მემორანდუმის 16.7 პუნქტის საფუძველზე მემორანდუმის შეწყვეტისა.
- 17.5. მემორანდუმის 16.7 პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისათვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 17.1-17.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
18. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ:
- 18.1. მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმის მე-15 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე;
- 18.2. კომპანია იყენებს ამ მემორანდუმის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე;
- 18.3. ფორს-მაური გრძელდება 240 (ორას ორმოცი) დღეზე მეტი ვადით.
19. კომპანიის მიერ მემორანდუმის მე-18 მუხლის საფუძველზე შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 19.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

- 19.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-კონისტური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ წებისმიერ დოკუმენტსა და წახაზზე (მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
- 19.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ჭეშმოქცეულ მიწის ნაკვეთზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
- 19.4. წინამდებარე მემორანდუმის 18.1 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საინვესტიციო ხარჯი კომპანიის მიერ მემორანდუმის 19.1-19.3 პუნქტების შესრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ;
- 19.5. წინამდებარე მემორანდუმის მე-18 მუხლის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისათვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 19.1-19.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
20. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
21. ამ მემორანდუმის მე-16, მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის მის შეწყვეტას და შესაბამისად - „ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისა“ და „გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტას“.

მემორანდუმის ცვლილება

22. ცვლილებები

- 22.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- 22.2. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-კონისტური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შედეგად შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხს;
- 22.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან/და პროექტის განხორციელების პროცესში კომპანია შეფერხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებული ან/და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისგან/მოსარგებლებისგან სათანადო უფლებების გაფორმების ან გადმოცემის, მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის გამო), კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების შესატყვისი პერიოდით გადაწევის ან/და მემორანდუმში სხვაგვარი ცვლილების შეტანის საკითხს.

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

23. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, სახოლოოდ გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფორს-მაჟორი

25. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრულ კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრება შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ მორის, ომი, რევოლუცია, ამხობი, აჯანყება, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, რადიაცია, ზიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.


26. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ხელი ეშლება მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მემორანდუმის მემორანდუმის 25-ე მუხლში აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს დანარჩენ მხარეებს ამის შესახებ. ამავე მხარემ გონივრულ ვადაში უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ინფორმაცია ფორს-მაჟორის მიზეზებისა და შედეგების შესახებ.


27. თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულებების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ და დანარჩენ მხარეებს არ უქნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძვლით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დამატებითი დებულებები

28. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების ურთიერთამოწურვამდე ან ამ მემორანდუმის თანახმად მის სხვაგვარად შეწყვეტამდე.

29. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.





დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მ.წ.დ.		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ახალქალაქი ჰესი	მდინარე ფარავანი	1638	1567	85,000,000 მლნ.კვტ.სთ	15 მგვტ.
	მდინარე ჯანჯგაჯური	1638	1567		

დანართი N2

ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: ახალქალაქი ჰესი	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან					
	2	4	6	8	9	10
ადგილმდებარებისა და მირითადი პარამეტრების დაზუსტება						
ტოპოგრაფიული კოლექტური და რუკების მომზადება						
გეოლოგია, გეოფიზიკა						
სეისმური ანგარიში						
სამშენებლო მასალების კვლევა						
მეცნიეროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები						
პოდიუმლიკური კლევები						
აღტერანტიკების ანალიზი						
ტექნიკური დაზიანება						
ინფრასტრუქტურა						
ელექტროენერგიის წარმოება						
ქსელთან მიურთება და გადამცემი ხაზი						
სამუშაოების მოცულობის უწყისი						
მშენებლობის ორგანიზაცია						
კონკრიციური ანალიზი						
ფინანსური ანალიზი						
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა						
მემსახულის მომზადების გრაფიკი						
ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის წარდგენის						
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება						
საჯარო განხილვის ჩატარება და შედევების წარდგენის						
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების აღიღებულებარობის დადგენა და განსაზღვრა						
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენი						

დანართი №3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დაწყებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ექსპლუატაციაში მიღება	
15 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან. (მოიცავს მემორანდუმის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ 5 თვიან პერიოდს)		30 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		

**სელშეკრულება
სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ**

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, _____ მიერ, და

შპს „ჰიდრო ენერგეტიკი“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 405098353, წარმოდგენილი დირექტორის, დავით ჩაჩხიანის მიერ;


ვინაიდან, ძირითადმა მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად, კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ მემორანდუმის 10.1 მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა საბანკო გარანტია;

აქედან გამომდინარე, ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მსარეთა მიერ ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან.

სელმოწერები:



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1954 2016 წლის 29 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „პიდრო ენერგიას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტერის“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომისიულ თპერატორის“ შორის დასადგენი ურთიერთგაფეხის მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „პიდრო ენერგიას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტერის“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომისიულ თპერატორის“ შორის დასადგენი ურთიერთგაფეხის მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ ურთიერთგაფეხის მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მიწისათვის ილია ელოძვილმა.

არემიურ-მინისტრი

გილოვან კვირიკაშვილი





**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA**



KA.010179927828016

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გოგაძევის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36, ე-მაილი: info@justice.gov.ge
24 ა. Gogasidze str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6183

16 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ემერგენციის
მინისტრის მოადგილე,
შპტომ ირაკლი ხმალაძეს

მატომი ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განრჩეოლა თქვენ მიერ 2016 წლის 14 სექტემბრის №04/3721 წერტილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტრონური ფუნქციური სისტემის კომერციულ მოხმარეობის“, შპს „პილიონ ენერგიის“, სს „საქართველოს სახელმწიფო დაცვითოსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენტროსა“ და შპს „ენერგოტრანზის“ მოწოდების განაფილობებული ურთიერთგაცემის მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირდებოდა გაცილებით შემდეგი:

1. მემორანდუმის პროექტის 1.12 მუხლის თანახმად, „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშანის კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის გამორიგენერირებისათვის გაწილდე, სათანადოდ აუდიტირებულ და დადასტურებულ ხარჯს. მიზანშეწომილია, მუხლის ფართლური, პსვე. დაკონკრეტულ საინვესტიციო ხარჯის „ფარგლენტში გაწილდები გაწილდები ხარჯის ათვლის წერტილი.


2. აქვე შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტი შეიტანება რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარჯზე, კერძოდ: ა) ნაცვლად 10.4 და 10.5 პუნქტებისა უმდა მიეთითოს 10.3.1 და 10.3.2 პუნქტები; ბ) 17.1 მუხლი მიზანშეწომილია, ჩამოყალიბდეს შემდეგმაირად: კომისარის ჩამოერთმევა პროექტის გამსარცველების უფლება;; გ) 19.4 მუხლი 17.1-17.3 მუხლების ნაცვლად მითითების უმდა აკეთებდეს 19.1-19.3 მუხლებში.

პატივისცემით,

III. ლაპარაკები

მინისტრის მოადგილე

გვარი ლორთვეგამიძე




ელექტროენერგეტიკული ბაზის მოწვევითონი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, პარამიშვილის ქ. 2
ტელეფონი: +995 32 2401420; ფაქსი: +995 32 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1092
16/09/2016

1092-01-2-201609161754



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონი ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 14 სექტემბრის #04/3722 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ჰიდრო ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქონის ენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ მორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (ახალქალაქი ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ზაზა დვალიშვილი

ენერგოტრანსის მოვალეობის შემსრულებელი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული მოწვევითონი“
საქართველოს სახელმწიფო სამართლის მიერ 07.09.2006, საც. კურ. 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.09.2006, ID CODE 205170036



სსპ

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101



4550-09-2-201609161746

N 4550/09

16/09/2016

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაშ“ განიხილი თქვენი 2016 წლის 14 სექტემბერს შემოსული N 04/3722 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ჰიდრო ენერგიის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქართველოს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:


მემორანდუმის პროექტის 8.3 პუნქტის მიხედვით კომპანიის ვალდებულებაა უზრუნველყოს ელექტროსადგურის გადამცემ ქსელთან მიერთება. აღსანიშნავია რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ უცნობია რომელ წერტილში პირებს გადამცემ ქსელთან მიერთებას კომპანია. ასაშენებელი ელექტროსადგურის მიმდებარედ გადამცემი ქსელი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ არ გააჩნია და არც საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმით არის გათვალისწინებული ამ მიმართულებით გადამცემი ქსელის მშენებლობა. შესაძლოა საუბარი იყოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განაწილების ქსელთან მიერთებაზე, ყოველ შემთხვევაში, რაიმე შეუსაბამობის თავიდან აცილების მიზნით აღზათ უმჯობესი იქნება თუ აღნიშნულ პუნქტში გადამცემი ქსელის ნაცვლად მიეთითება შესაბამისი ქსელი.

პატივისცემით,

მამუკა სხილაძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

www.gse.com.ge



N 05/785
16/09/2016

785-05-2-201609161234



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ თქვენი 2016 წლის 14 სექტემბრის N 04/3722 წერილი, დადებული ,
საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ
ოპერატორს“, შპს „ჰიდრო ენერგიის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“,
სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“
შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი. აღნიშნულთან
დაკავშირებით გაცნობებთ რომ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ
გაგვაჩინა.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი



ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი: +995(32)2510140

15/09/2016

N 525

525-01-2-201609151459



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 14 სექტემბრის #04/3722 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს „ენერგოტრანსმა“ განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ჰიდრო ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემას საქრუსენერგის“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,
კახა სესნიაშვილი

დირექტორი